ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №02/03/02

ქ. თელავი 24.03.2015წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება წარმოდგენილი დირექტორის გიორგი კოჭლოშვილის სახით, (შემდგომში „დამკვეთი"), ხოლო მეორეს მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი თელავის სერვის ცენტრის მენეჯერის გურამ წულუკიძის სახით, შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას, „დამკვეთს" გაუწიოს მომსახურება ასენიზაციის მანქანით ISUZU NPR85H სახ. №-ით ZKZ-411, ხოლო თავის მხრივ „დამკვეთი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" შეთანხმებული საზღაური.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ადგილია:თელავის რაიონი სოფელი წინანდალი .

2. მხარეთაუფლებები და ვალდებულებები

2.1 „დამკვეთი"ვალდებულია:
დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს" გასამრჯელო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2 „შემსრულებელი" ვალდებულია:
განახორციელოს მომსახურება არსებული სტანდარტების შესაბამისად; მექანიზმს დროულად თავისი ხარჯებით ჩაუტაროს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;

2.3 „შემსრულებელი" უზრუნველყოფს „მექანიზმს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო საწვავით.

3. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 180.00 (ას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით ყოველ შესრულებულ სამუშაოზე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ერთეულის ღირებულება, კერძოდ, ერთი ამოტუმბვის, გადაღერის და გადაადგილება 20 კმ-ის რადიუსში შეადგენს 180 (ას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

3.2 მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისთანავე შეადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც აისახება ფაქტიურად გაწეული მომსახურების რაოდენობა, შესაბამისი ანაზღაურების მითითებით.

3.3 ანგარიშწორება განხორციელდება წინასწარი გადახდის მეთოდით.

3.4 ანგარიშწორება „შემსრულებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.5„დამკვეთის" მხრიდან ანგარიშსწორების პირობების დარღვევის შემთხვევაში „დამკვეთს" დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 % ოდენობით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2 ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.3 საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონიერული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების თარიღია 2015 წლის 25 მარტი.

7. სადაო საკითხების გადაჭრის წესი

7.1 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება, გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს;

8.2ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„დამკვეთი"

ააიპ თელავის თვითმმართველი
თემი თელავის მუნიციპალიტეტის
ბაგა-ბაღების გაერთიანება

ს/კ: 431171983
მის: ქ.თელავი,ალადაშვილის ქუჩა N2

„შემსრულებელი"

შპს "საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია"
ს/კ: 412670097
მის: ქ. თბილისი,ეკეკა-ფშაველასგამზირი№76ბ;
მომსახურე ბანკი: სს„ლიბერთიბანკი";
ცენტრალური ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ა/ა: **GE77LB0113123325230012**

გიორგი კოჭლოშვილი

გურამ წულუკიძე